ხაშურის მოამბე

№39(412) 18 ოქტომბერი, ოთხშაბათი, 2023 წელი

ხაშურქალაქობა - 2023 - დღესასწაული, რომელიც მუდამ ჩვენთანაა

საოცარი რამაა ქართული ენა - მე ვიტყოდი, მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ფენომენთაგანია, რომლის „ტევადობა“ მართლაც უსაზღვროა და შეუძლია ერთი „უბრალო“ სიტყვით ემოცია, სიხარულო, გამორჩეულობა, განწყობა, შეგრძნებების მთელი კასკადი და სიყვარულიც კი გამოხატეს. ერთ-ერთი ასეთია „დღესასწაული“, რომელიც თავისთავში ყველა ზემოჩამოთვლილ შეგრძნებებს აერთიანებს. სწორედ ასეთი დღე ეწვია ჩვენს ქალაქს 14 ოქტომბერს. თუმცა არა! „ეწვია“ სრულფასოვნად არ გამოხატავს ამ დღის მთლიანობას. უფრო მართებული ფორმულირება იქნება, თუნ ვიტყვით, რომ თვითონ ქალაქი იქცა დღესასწაულად. დღესასწაულის

მთავარი შტრიხი ხომ ისაა, რომ იგი ყველასია. შეუძლებელია ეს სიტყვა „ზეიმით“ ჩაანაცვლო. ზეიმი უფრო ლოკალურია და გარკვეული ჯგუფის არეალს მოიცავს. დღესასწაულის მასშტაბები კი უსაზღვროა, აი, სწორედ ისეთი, რაც 14 ოქტომბერს „ხაშურქალაქობისას“ ვიხილეთ - დიდი, პატარა, ქალი, კაცი, ახალგაზრდა, მოხუცი - ყველა ზეიმობდა, ყველას უხაროდა და ყველა ბედნიერი იყო - დღესასწაულის მთელი შინაგანი არსიც ხომ სწორედ ესაა!

„ხაშურქალაქობა“ სათავეს 2011 წლიდან იღებს. იმ წელს ჩაეყარა საფუძველი ამ დღის აღნიშვნას და ყოველი მომდევნო წლის შემოდგომის მეორე თვის ერთი ერთი დღე ხაშურის დღედ იქცევა ხოლმე. თუმცა, იყო სამწლიანი ინტერვალიც - კოვიდპანდემიამ თითქოს დრო გააჩერა და აბა, იმ პერიოდში ვის ედღესასწაულებოდა. პანდემია ხომ არ ცნობს ასეთ დღეებს,

მის შავ ფერებში შეუძლებელია სადმე ცისარტყელამ იბრჭყვიალოს და რომც გამოჩნდეს, იმ ემოციებს და სიხარულს მაინც ვერ მიიღებ, რადგან ტკივილი ჭარბობს უფრო. შარშან კი უკან დაიხიეს ღამისფერმა დღეებმა და ქალაქიც ჩვეულ რიტმს დაუბრუნდა. დღესასწაულიც შედგა და ლამაზიც გამოვიდა. დიახ, კარგი იყო, მშვენიერიც, მაგრამ წლევანდელი ბევრად აღემატებოდა ყველა კომპონენტში. ოლიმპიურ თამაშებს ახასიათებს ერთი „დაუწერელი კანონი“ - ყველა ოლიმპიადა, როგორც წესი, წინაზე უკეთესია. ეტყობა, დღესასწაულებსაც ახასიათებთ ასეთი რამ. არა მგონია, მოჩვენებითი იყოს ეს ყველაფერი, თუნდაც იმიტომ, რომ ძველს დავიწყების ბურუსი ახლავს, მიმდინარე კი მთელი თავის მშვენიერებითაა შენს წინაშე. არა! ფაქტია, რომ წლევანდელი „ხაშურქალაქობა“ თავისი მასშტაბით ბევრად აღემატებოდა შარშანდელს. განსხვავებული სცენარი, განსხვავებული ლოკაციები, ორჯერ და სამჯერ მეტი მონაწილე, მეტი ფერები, მეტი ბრჭყვიალება... და ამ ყველაფერ „მეტს“, რა თქმა უნდა, მეტი სიხარული და ემოცია მოაქვს. ვიდრე კონკრეტულად ზეიმის შთაბეჭდილებებს მოგითხრობთ, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ის უდიდესი ძალისხმევა, რაც მერიის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურმა გასწია, რომ ეს დღე ღირსეულად აღნიშნულიყო. მათთან ერთად უდიდეს მადლობას იმსახურებენ კულტურისა და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი ცენტრების გაერთიანების მთელი შემადგენლობა, მერიის სხვა სამსახურები და შემოქმედებითი კოლექტივები...

დღესასწაულის კონკრეტული თარიღი თითქმის ერთი თვით ადრე იყო ცნობილი. სექტემბერს რომ თავი დავანებოთ, ოქტომბერიც ისე დაიწყო, თითქოს ცა ჩამოგვემხო თავზე. გაუთავებელმა წვიმებმა მართლაც მოგვაბეზრა თავი და ისეთი პირი უჩანდა, რომ არც 14 ოქტომბერს იქნებოდა უკეთესი. მაგრამ არა! ბუნებამ მართლაც სიურპრიზი გაუკეთა ჩვენს ქალაქს და ისეთი ბრდღვიალა დღე გვაჩუქა, რომ ოქროსფერი მზე, მთელი დღის განმავლობაში, მთავარი სტუმარი იყო ქალაქისა.

დღესასწაული კი დილიდან დაიწყო. ქალაქის ცენტრალური მოედანი ათასფერად იყო მორთული. მოედნის მიმდებარე კოსტავას ქუჩა იმ ადამიანებმა „დაიპყრეს“, რომლებიც თავისი შემოქმედებით ალამაზებენ ქალაქს. რას არ ნახავდით აქ: საუცხოო ფერწერული ტილოები, ნაქარგები, მინიატურული ნამუშევრები. მათ გვერდს უმშვენებდნენ ადგილობრივი მეწარმეები, რომლებიც საკუთარ ნაშრომს სთავაზობდნენ ყველას.

თერთმეტ საათზე ულამაზესი კოსტუმირებული მსვლელობა დაიწყო. პარალელურად, სახალხო თეატრის მსახიობები ფიროსმანის შემოქმედების ორიგინალურ პერფორმანსს სთავაზობდნენ ზეიმის მონაწილეებს, უზარმაზარ სცენაზე კი ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლები.

ზეიმზე გამორჩეული პატივი მიაგეს მათ, ვინც თავისი შრომით თუ მოღვაწეობით გამოიჩინეს თავი და მართლაც დაიმსახურეს ხალხის სიყვარული. ესენი იყვნენ პედაგოგები თინათინ ძულიაშვილი, თინათინ ,მეტრეველი, სონია ჭანკოტაძე-ძულიაშვილი, ანა ტაბატაძე, ნინო მახარაშვილი, თამარ ხადური, ხატია ხარაიშვილი. წარმატებული სპორტსმენები და მათი მწვრთნელები: ლუკა მაისურაძე, ზაურ დვალიშვილი, ხვიჩა გაფრინდაშვილი, დიმიტრი მულაძე, საბა ჩილაშვილი, ნიკოლოზ გოგოლაძე, მიშიკო ნოზაძე, თორნიკე ტაბატაძე, დავით კილაძე, გიგა ოდიკაძე, გიორგი ხარაზიშვილი, ბეგლარ ხარშილაძე, კახაბერ ლომიძე, ომარ ლომიძე, მალხაზ ნოზაძე, ზაურ ღონღაძე, ავთანდილ ხარაზიშვილი, ბუხუტი ბუხრიკიძე, ვახტანგ კვინიკაძე, გიორგი კვინიკაძე. მართლაც სასიხარულო იყო, რომ წელს ერთიანი ეროვნული გამოცდები ჩვენი მუნიციპალიტეტის 21-მა აბიტურიენტმა დაასრულა 100 პროცენტიანი შედეგით. აი ისინიც: მარიამ ბარბაქაძე, მარიამ მელაძე, შალვა ჩაჩანიძე, დავით ხაჩიძე, თიკო ჩიქოვანი, მარიამ ოსაძე, სანდრო ციყელაშვილი, თეონა ცუცქირიძე, ანი ბეროზაშვილი, სოფია ქიტიაშვილი, თინათინ მურჯიკნელი, თამაზ ხარხელი, ანა ქიმერიძე, ნუცა ნოზაძე,

ბარბარე გელაშვილი, ბარბარე კულუხაშვილი, მარიამ ჩარექიშვილი, ლუკა ჩაუჩიძე, კესო ნონიაშვილი, მერი გელაშვილი, მარიამ ლომიძე.თითოეულ მათგანს ფულადი ჯილდოები გადაეცა მერიისგან. დაჯილდოების კულმინაცია კი გახლდათ საპატიო ხაშურელის წოდების მინიჭება იმ ადამიანებისათვის, რომლებმაც თავისი ღვაწლით დაიმსახურეს ეს პატივი. მათ მართლაც უმწიკვლო შრომით მიაღწიეს ამ აღიარებას და უდიდესი სიყვარულიც დაიმსახურეს თანამოქალაქეებისაგან. ამ დღეს ხაშურის საპატიო მოქალაქეთა რიგებს შეუერთდნენ ლალი მაკარიძე - ცნობილი პედიატრი, ღირსების ორდენის კავალერი; ციური გონგლაძე - ასევე ცნობილი პედიატრი და უმაღლესი დონის პროფესიონალი; ალექსანდრე ნემსაძე - კულტურის სფეროს გამორჩეული და თვალსაჩინო პიროვნება, ფოლკლორული ანსამბლის - „ხაშური“ - ხელმძღვანელი; თინათინ კუპრაძე - სამუსიკო სკოლის თანამშრომელი; ტარიელ გოგოლაძე - ქართულ - უკრაინულ ურთიერთობებში განსაკუთრებული წვლილის შემტანი; ვლადიმერ ბარბაქაძე - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

(დასასრული VI გვერდზე)

სურამში, ქართულ -უკრაინული მეგობრობის ტრადიციული დღესასწაული - "ლესიაობა" გაიმართა

დღესასწაულის ფარგლებში, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა, საქართველოში უკრაინის საელჩოს და უკრაინის დიასპორის წარმომადგენლებთან ერთად, ლესია უკრაინკას მემორიალი გვირგვინით შეამკო და მოქალაქეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა.

სურამელებს ლესიაობა მიულოცეს დღესასწაულზე სტუმრად მყოფმა უკრაინული დელეგაციის წარმომადგენლებმა ხაშურთან დამეგობრებული

ქალაქ ობუხივიდან. მათ საჩუქრები გადასცეს სურამის ლესია უკრაინკას სახელობის მუზეუმს, სურამის უკრაინულ სკოლას და უკრაინის საელჩოს წარმომადგენლებს.

ლესია უკრაინკას სახელობის სკვერში, ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების მონაწილეობით ჩატარდა კონცერტი.

ღონისძიების ორგანიზატორი იყო ხაშურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრების გაერთიანება.

სტუმრად - დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმში

„ხაშურქალაქობის" დღესასწაულის ფარგლებში, ქვიშხეთში, დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმში იმყოფებოდნენ ხაშურთან დამეგობრებული ლიეტუვის, ლატვიისა და უკრაინის ქალაქების დელეგაციების წარმომადგენლები.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა, თენგიზ ჩიტიაშვილმა საპატიო სტუმრებს სახლ-მუზეუმი დაათვალიერებინა. ვიზიტორებს, შენობაში დაცული ექსპონატების- დოკუმენტური და ფოტო მასალის გაცნობის საშუალებაც მიეცათ.

ამ ეტაპზე, მუზეუმი თინა ცხადაძის გამოფენასაც მასპინძლობს, რომელიც შექმნილია იაპონური მანგის სტილით შექმნილი, შერეული ტექნიკით შესრულებული გრაფიკული ილუსტრაციებით და ეძღვნება ვაჟა-ფშაველას პოემის „სტუმარ-მასპინძლის" თემატიკას.

პოემის იაპონური თარგმანი ეკუთვნის იასუჰირო კოჯიმას და წიგნი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით გამოიცა.

გამოფენა გახსნეს ხაშურის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ თათია ბროლიძემ და სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ მაკა დიდებულიძემ.

გარდა ქალაქის სტუმრებისა, გამოფენის გახსნას ესწრებოდნენ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელი პირები.

ხაშურის სამუზეუმო გაერთიანების მმართველის თამაზ ლაცაბიძის განმარტებით, გამოფენა ქვიშხეთის დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმში, ათი დღის განმავლობაში გაგრძელდება და ყველა მსურველს ექნება დათვალიერების შესაძლებლობა.

- ფეხბურთი -

თემურ კობერიძის სახელობის ტურნირი დასრულდა

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის სამსახურისა და ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლის ორგანიზებით, „ივერიის" სტადიონზე, ფეხბურთში, გოგონათა შორის, თემურ კობერიძის სახელობის ფინალური ტურნირი გაიმართა.

პირველ, მეორე და მესამე ადგილზე გასულ გუნდებს, თასები და მედლები გადასცეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა და ხაშურთან დამეგობრებული ქალაქების ბაუსკის (ლატვია), რადვილიშკისის (ლიტვა) და ობუხოვოს (უკრაინა) დელეგაციის ხელმძღვანელმა პირებმა.

ღონისძიება „ხაშურქალაქობის" ფარგლებში ჩატარდა.

მსუბუქი და სამგზავრო ავტოტრანსპორტისთვის რიკოთზე გადაადგილების სპეციალური რეჟიმი გაუქმდა

მსუბუქი და სამგზავრო ავტოტრანსპორტისთვის რიკოთზე გადაადგილების სპეციალური რეჟიმი უქმდება. მისაბმელიანი და ნახევრად მისაბმელიანი ავტოტრანსპორტისთვის კი გადაადგილების სპეციალური რეჟიმი რჩება ძალაში, თუმცა იზრდება 4 საათით. ამის შესახებ ინფორმაციას საავტომობილო გზების დეპარტამენტი ავრცელებს.

"იმის გათვალისწინებით, რომ რიკოთის საუღელტეხილო გზაზე ავტოტრანსპორტის მოძრაობის ინტენსივობა საგრძნობლად შემცირდა, დასრულდა აღნიშნული გზის 149-ზე კმ-ზე ფერდის სტაბილიზაციის საპროექტო სამუშაოები და დაიწყო მოსამზადებელი სამშენებლო სამუშაოები, მიმდინარე წლის 12 ოქტომბრიდან რიკოთის უღელტეხილზე დაწესებული ავტოტრანსპორტის მოძრაობის სპეციალური რეჟიმი შეიცვალა.

სპეციალური რეჟიმი გაუქმდა მსუბუქი და სამგზავრო ავტოტრანსპორტისთვის და შესაბამისად, რიკოთის საუღელტეხილო გზაზე მათი გადაადგილება შესაძლებელი იქნება დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში.

მისაბმელიანი და ნახევრად მისაბმელიანი ავტოტრანსპორტისთვის გადაადგილების სპეციალური რეჟიმი რჩება ძალაში, თუმცა იზრდება 4 საათით. შესაბამისად, მისაბმელიანი და ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის გადაადგილება რიკოთზე დაშვებული იქნება ორმხრივად, 21:00 საათიდან 07:00 საათამდე.

ამასთან, რიკოთის საუღელტეხილო მონაკვეთზე გაგრძელდება 24 საათიანი მონიტორინგი.

სპეციალური რეჟიმი რიკოთის საავტომობილო გზაზე მიმდინარე წლის აპრილიდან მოქმედებდა.

ულუმბო

ფრაგმენტები სოფლის ისტორიიდან

(გაგრძელება. დასაწყისი №18,19,20,21,22,23,24,25,26,27,28,29,30,31,32,33,34, 35,36,37,38)

28 მაისს , სოფ. ბროლოსანში მცხოვრებ პავლე შაქარას ძე მუმლაძეს და მაია გიორგის ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი ნესტორი. 5 ივნისს მონათლეს. მიმრქმელი - სოფ. ჩორჩანაში მცხოვრები ვახტანგ გრიგოლის ძე მუმლაძე.

10 ივნისს, სოფ. ლომისაში მცხოვრებ საჩინო ლაზარეს ძე ბიწაძეს და ბარბარე იოსების ასულს შეეძინათ ქალიშვილი დარია. 18 ივნისს მონათლეს. მიმრქმელი- იქვე მცხოვრები შაქარა გაფრინდაშვილის ასული ევა.

20 ივნისს, სოფ. ცხეთიჯვარში მცხოვრებ ივანე პეტრეს ძე გელაშვილს და ელენთა ვასილის ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი ვასილი. 28 ივნისს მონათლეს. მიმრქმელი, სოფ. ფლევში მცხოვრები დავით გაბრიელის ძე გელაშვილი.

1 ივლისს, სოფ. ცხეთიჯვარში მცხოვრებ ლასო პეტრეს ძე გელაშვილს და ტასია პეტრეს ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი ილია. 8 ივლისს მონათლეს. მიმრქმელი, მიხეილ უფლისას ძე შუბითიძე.

9 ივლისს, სოფ. ცხეთიჯვარში მცხოვრებ გიორგი ოქრუას ძე ხარაზიშვილს და ანა სოლომონის ასულს შეეძინათ ქალიშვილი სოფიო. 16 ივლისს მონათლეს. მიმრქმელი, სოფ. ალში მცხოვრები დავით ზაქარიას ძე ნოზაძე.

15 ივლისს, სოფ. ბროლოსანში მცხოვრებ მურზაყან როსეფას ძე ჩინჩალაძეს და მარინე ოქრუას ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი ილია. 23 ივლისს მონათლეს. მიმრქმელი, იქვე მცხოვრები ბიჭია ბუჭუას ძე კაპანაძე.

22 ივლისს, სოფ. ბროლოსანში მცხოვრებ ნიკოლოზ მამუკას ძე ჩინჩალაძეს და ნატალია ივანეს ასულს შეეძინათ ქალიშვილი ოლღა. 30 ივლისს მონათლეს. მიმრქმელი, იქვე მცხოვრები ანტონ გრიგოლის ძე კურტანიძე.

16 აგვისტოს, სოფ. კლდისწყაროში მცხოვრებ ალექსი ივანეს ძე გელაშვილს და მაკრინე აბუკის ასულს შეეძინათ ქალიშვილი მარიამი. 23 აგვისტოს მონათლეს. მიმრქმელი, სვერის მაზრის სოფ. გუნდოეთში მცხოვრები პავლე გელაშვილის მეუღლე სალომე სვიმონის ასული.

2 სექტემბერს, სოფ. მურყნისწყაროში მცხოვრებ დავით ბერის ძე კაპანაძეს და მარიამ გიორგის ასულს შეეძინათ ქალიშვილი ტერეზია. 8 სექტემბერს მონათლეს. მიმრქმელი, იქვე მცხოვრები ივანე გაბრიელის ძე კაპანაძე.

9 სექტემბერს, სოფ. გვირგვნაში მცხოვრებ პეტრე გაბრიელის ძე თაბუაშვილს და ქეთევან ჯიბოს ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი იოვანე. 16 სექტემბერს მონათლეს. მიმრქმელი, სოფ. ლოპანში მცხოვრები პავლე გრიგოლის ძე ლურსმანაშვილი.

17 სექტემბერს, სოფ. გვირგვინაში მცხოვრებ ფარსადან ბათარაჯის ძე ჯაჯუხაშვილს და ნინო ლევანის ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი გედევანი. 24 სექტემბერს მონათლეს. მიმრქმელი სოფ. ლოპანში მცხოვრები დიმიტრი ლურსმანაშვილის მეუღლე სიდონია გიორგის ასული.

24 სექტემბერს, სოფ. მურყნისწყაროში მცხოვრებ გრიგოლ პეტრეს ძე კაპანაძეს და სუსანა თევდორეს ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი ალექსი. 30 სექტემბერს მონათლეს. მიმრქმელი, იქვე მცხოვრები ტეტო გაბრიელის ძე გელაშვილი.

2 ოქტომბერ,ს სოფ. ულუმბოში მცხოვრებ სვიმონ ვასილის ძე გელაშვილს და თეკლე ნიკოლოზის ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი ვლადიმერი. 9 ოქტომბერს მონათლეს. მიმრქმელი, ქალაქ თბილისში მცხოვრები ალექსი სტეფანეს ძე ივანოვი.

10 ოქტომბერს, სოფ. ულუმბოში მცხოვრებ დიმიტრი გიორგის ძე კიპაროიძეს და ეფემია გრიგოლის ასულს შეეძინათ ქალიშვილი ევგენია. 17 ოქტომბერს მონათლეს. მიმრქმელი, სოფ. ღოდორაში მცხოვრები ფიდო სტეფნაძის მეუღლე მარიამ დავითის ასული.

10 ნოემბერს, სოფ. ცხეთიჯვარში მცხოვრებ ყარამან ნიკოლოზის ძე გელაშვილს და გაიანე იოსების ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი ალექსქნდრე. 18 ნოემბერს მონათლეს. მიმრქმელი, სოფ. ალში მცხოვრები დიმიტრი დავითის ძე ნოზაძე.

10 ნოემბერს, სოფ. ბროლოსანში მცხოვრებ ლევან სიმონის ძე მუმლაძეს და მაია მიხეილის ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი ვასილი. 18 ოქტომბერს მონათლეს. მიმრქმელი, იქვე მცხოვრები სამრევლოს მღვდელი ალექსი დიმიტრის კევლიევი.

19 ნოემბერს, სოფ. ბროლოსანში მცხოვრებ ფარსადან გიორგის ძე მუმლაძეს და სალომე ბუჭუას ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი ზაქარია. 27 ნოემბერს მონათლეს. მიმრქმელი, სოფ. ჩორჩანაში მცხოვრები პავლე იოსების ძე მუმლაძე.

* * *

15 იანვარს, გორის მაზრის სოფ. ორტევში მცხოვრბმა ფარსადან ქერბეტის ძე გუბაშვილმა (20) იქორწინა სოფ. გვირგვინაში მცხოვრებ მირომან ყულუმბეგაშვილის ასულ სოფიოზე (17). სიძის თავმდებნი, სოფ. წვნელისში მცხოვრები ალექსი გიორგის ძე ჯეირანაშვილი, გაბრიელ გაბრიელის ძე ქოქაშვილი, ფიდო გედევანის ძე არბოლიშვილი. სასძლოს თავმდებნი, სოფ. ბროლოსანში მცხოვრებნი ალექსი გლახუას ძე, ალექსი ივანეს ძე და ლევან ანდრიას ძე მუმლაძეები.

15 იანვარს, გორის მაზრის სოფ. არტაანში მცხოვრბმა ზურაბ მურმანის ძე იკოშვილმა (25) იქორწინა სოფ. წვნელისში მცხოვრებ ქითა არბოლიშვილის ასულ თეკლაზე (-). სიძის თავმდებნი, სოფ. გვირგვინაში მცხოვრებნი პეტრე გაბრიელის თათარბაშვილი, ზეფა ლევანის ძე ყულუმბეგაშვილი, ზურაბ ქოქას ძე გობაშვილი. სასძლოს თავმდებნი, სოფ. ბროლოსანში მცხოვრები იოსებ ანდრიას ძე, ალექსი გლახას ძე და პავლე შაქარას ძე მუმლაძეები.

18 იანვარს, სოფ. წაღვლში მცხოვრებმა ვასილ ნიკოლოზის ძე შეყელაშვილმა (22) იქორწინა სოფ. კლდისწყაროში მცხოვრებ გიორგი ხარაზიშვილის ასულ თებრონიაზე(16). სიძის თავმდებნი, სოფ. წაღვლში მცხვრები სიმონ ბესარიონის ძე ლომიძე, მიხეილ იოსების ძე კილაძე, სოფ. კლდისწყაროში მცხოვრები შალვა დავითის ძე მუმლაძე. სასძლოს თავმდები სოფ. კლდისწყაროში მცხოვრები ივანე ფარსადანის ძე შუკაკიძე. სოფ. ჭალვანში მცხოვრებნი ალამა გაბრიელის ძე შუბითიძე, ყარამან თომას ძე გელაშილი.

9 თებერვალს, ძველ ფლევში მცხოვრებმა გიორგი სიმონის ძე ნასყიდაშვილმა (23) იქორწინა სოფ. ბროლოსანში მცხოვრებ იოსებ მუმლაძის ასულ ვარდოზე (24). სიძის თავმდებნი, შორაპნოს მაზრის სოფ. მარელისში მცხოვრები აზნაური კოტე ზაალის ძე მაღრაძე, ძველ ფლევში მცხოვრებნი ანდრია იოსების ძე ნოზაძე და თევდორე გიორგის ძე კვესაძე. სასძლოს თავმდებნი, სოფ. ბროლოსანში მცხოვრებნი ალექსი გლახუას ძე, ალექსი ლევანის ძე და პავლე შაქარას ძე მუმლაძეები

26 მაისს, შორაპნის მაზრის სოფ. ვერტყვიჭალაში მცხოვრებმა პავლე დიმიტრის ძე გელაშვილმა (20) იქორწინა სოფ. ბრლოსანში მცხოვრებ იოსებ მუმლაძის ასულ ვარდოზე (24). სიძის თავმდებნი, სოფ. ვერტყვილაში მცხოვრებნი იოსებ ვახტანგის ძე, რომანოზ დავით ძე და ილია მახარას ძე გოგალაძეები. სასძლოს თავმდებნი, ბროლოსანში მცხოვრები მათია პავლეს ძე ბარბაქაძე, მიხეილ ივანეს ძე ბარბაქაძე, ფარსადან გიორგის ძე მუმლაძე.

13 ნოემბერს, გორის მაზრის სოფ. ლისში მცხოვრებმა ჯიქურა გიორგის ძე ლალიშვილმა (23) იქორწინა სოფ. გვირგვინაში მცხოვრებ მინა ყულემბეგაშვილის ასულ ქეთევანზ (-). სიძის თავმდებნი, სოფ. ლისში მცხოვრებნი კიკო პეტრეს ძე ბაგაშვილი, ალექსი რაჯაბას ძე ყაჩმაგიშვილი, შამილა რამაზის ძე თედეშვილი. სასძლოს თავმდებნი, სოფ. გვირგვინაში მცხოვრებნი პეტრე გაბრიელის ძე თაბუაშვილი, ისაკო მურმანის ძე ყულუმბეგაშვილი, მათე მურმანის ძე ყულუმბეგაშვილი.

14 ნოემბერს, სოფ. ალში მცხოვრებმა იოსებ გიორგის ძე ნოზაძემ (50) მეორე ქორწინებით იქორწინა გორის მაზრის სოფ. ლარებში მცხოვრები გიორგი ბათოშვილის ასულ ბარბალეზე (54, მესამე ქორწინება). სიძის თავმდებნი, სოფ. ბროლოსანში მცხოვრებნი ფარსადან გიორგის ძე მუმლაძე, მათე მიხეილის ძე კურტანიძე, ალექსი ლევანის ძე მუმლაძე. სასძლოს თავმდებნი, იქვე მცხოვრებნი ალექსი გლახუას ძე მუმლაძე, ივანე ვასილის ძე გზირიშვილი, ნიკოლოზ მამუკას ძე ჩინჩალაძე.

* * *

20 ივლისს, სოფ. ბროლოსანში გარდაიცვალა გიორგი ბარბაქაძის ასული ანა, 14 წლის, საოფლოთი. 22 ივლისს დაკრძალეს.

13 ოქტომბერს , სოფ. კლდისწყაროში გარდაიცვალა ივანე გოგიას ძე ხარაზიშვილი, 80 წლის, პირჯვლით.

1884

20 იანვარს, სოფ. ლომისაში მცხოვრებ თედო გიორგის ძე გაფრინდაშვილს და მაია სიმონის ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი მოსე. 28 იანვარს მონათლეს. მიმრქმელი, იქვე მცხოვრები ალექსი გრიგოლის ძე სტეფნაძე.

4 თებერვალს, გორის მაზრის სოფ. წყვდელისში მცხოვრებ ფიდო გედევანის ძე არბოლიშვილს და მარიამ ყიყოს ასულს შეეძინათ ქალიშვილი ნინა. 12 თებერვალს მონათლეს. მიმრქმელი, სოფ. ჩორჩანაში მცხოვრები პეპო ფარსადანის ძე მუმლაძე.

15 მარტს, სოფ. გვირგვინაში მცხოვრებ მიხეილ ბათარაჯის ძე ყულუმბეგაშვილს და მარიამ დიმიტრის ასულს შეეძინათ ქალიშვილი თეკლე. 23 მარტს მონათლეს. მიმრქმელი, სოფ. კლდისწყაროში მცხოვრები არტია მაქსიმე მღვდლის ძე ბარბაქაძე.

25 თებერვალს, სოფ. კლდისწყაროში მცხოვრებ იოსებ ფარსადანის ძე სულაბერიძეს და მარიამ დავითის ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი სარდიონი. 5 მარტს მონათლეს. მიმრქმელი, იქვე მცხოვრები გრიგოლ ივანეს ძე ხარაზიშვილი.

10 მარტს, სოფ. ჭიანაღელეში მცხოვრებ ოქრუა იოსების ძე მუმლაძეს და მაია გრიგოლის ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი მიხეილი. 18 მარტს მონათლეს. მიმრქმელი, სოფ. ტიტვინიძის წყაროში მცხოვრები გიორგი კიკოს ძე მუმლაძე.

20 მარტს, სოფ. ტიტვინიძის წყაროში მცხოვრებ ნიკო ფირანის ძე წიქარიშვილს და ელისაბედ დიმიტრის ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი ილია. 28 მარტს მონათლეს. მიმრქმელი, სოფ. ბროლოსანში მცხოვრები პავლე მუმლაძის მეუღლე მაია გიორგის ასული.

2 აპრილს, სოფ. ტიტვინიძის წყაროში მცხოვრებ გიორგი ნიკოლოზის ძე მუმლაძეს და მაია სისოს ასულს შეეძინათ ქალიშვილი ანა. 10 აპრილს მონათლეს. მიმრქმელი, სოფ. ჩორჩანაში მცხოვრები მერაბა თეიმურაზის ზე მუმლაძე.

12 აპრილს, სოფ. ცხეთიჯვარში მცხოვრებ ასლან გიორგის ძე ხარაზიშვილს და რუსუდან პეტრეს ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი არსენა. 20 აპრილს მონათლეს. მიმრქმელი, სოფ. ბროლოსანში მცხოვრები სისო ნიკოს ძე ჩინჩალაძე.

22 აპრილს, სოფ. ჩორჩანაში მცხოვრებ ალექსი ანდრიას ძე მუმლაძეს და რუსუდან პეტრეს ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი ივანე. 30 აპრილს მონათლეს. მიმრქმელი, იქვე მცხოვრები გიორგი მაქსიმეს ძე ივანიშვილი.

1 მაისსმ სოფ. ნინისში მცხოვრებ ადამა გაბრიელის ძე შუბითიძეს და ანუსია ივანეს ასულს შეეძინათ ქალიშვილი ანა. 9 მაისს მონათლეს. მიმრქმელი, სოფ. ცხეთიჯვარში მცხოვრები გიორგი ოქრუას ძე ხარაზიშვილი.

1 მაისს, სოფ. ბროლოსანში მცხოვრებ მათე მიხეილის ძე კურტანიძეს და მარიამ ივანეს ასულს შეეძინათ ქალიშვილი ტერეზია. 9 მაისს მონათლეს. მიმრქმელი, სოფ. წაღვლში მცხოვრები თავადი სოლომონ დარისპანის ძე ამირეჯიბი. 1 მაისს სოფ. ბროლოსანში მცხოვრებ ლევან ანდრიას ძე მუმლაძეს და როდამ სფირიდონის ასულს შეეძინათ ქალიშვილი ლუბა. 9 მაისს მონათლეს. მიმრქმელი, სოფ. დუმაცხოვში მცხოვრები ვანო პაპუაშვილის მეუღლე თეკლე გრიგოლის ასული.

9 მაისს, სოფ. მურყნისწყაროში მცხოვრებ საჩინო ივანეს ძე გელაშვილს და ასინეთა ხახუტას ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი სერგეი. 17 მაისს მონათლეს. მიმრქმელი, სოფ. ბროლოსანში მცხოვრები ნიკოლოზ ფარსადანის ძე მუმლაძე.

17 მაისს, ტიტვინიძის წყაროში მცხოვრებ სისო პეტრეს ძე გორგაძეს და ტურფა გრიგოლის ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი ვასილი. 25 მაისს მონათლეს. მიმრქმელი, შორაპნის მაზრის სოფ. არგვეთაში მცხოვრები აზნაური დავით ზურაბის ძე კურცხალია.

1 ივლისს, სოფ. კლდისწყაროში მცხოვრებ შავლე დავითის ძე მუმლაძეს და ნინო გიორგის ასულს შეეძინათ ქალიშვილი მარიამი. 9 ივლისს მონათლეს. მიმრქმელი, შორაპნის მაზრის სოფ. მანდაეთში მცხოვრები ვასილ ლევანის ძე მუმლაძე.

10 ივლისს, სოფ. ცხეთიჯვარში მცხოვრებ დავით პეტრეს ძე გელაშვილს და დესპინე ლევანის ასულს შეეძინათ ქალიშვილი მარიამი. 19 ივლისს მონათლეს. მიმრქმელი, სოფ. ბროლოსანში მცხოვრები სარდიონ სპირიდონის ძე ჩინჩალაძე.

(გაგრძელება იქნება)

ექიმი გმირია

შეხვედრა ღვაწლმოსილ ექიმებთან

12 ოქტომბერს, ხაშურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების ძალისხმევით შეხვედრა შედგა ღვაწლმოსილ ექიმებთან.

მოწვეულები იყვნენ შემდეგი ექიმები: ლალი მარუაშვილი; ჯულიეტა ლომსაძე; ელზა მენაბდე; ელეონორა ტაბატაძე; ნათელა სვანიძე; ნანა ინასარიძე;ზეინაბ ხმიადაშვილი; მადონა ცირეკიძე; ნუნუ ალბრეხტი; ავთანდილ დურგლიშვილი; გოჩა ნოზაძე; ნაზიბროლა ლაბაძე; ციალა ამბარცუმოვა და ვიოლეტა ქაჯაია. სამწუხაროდ, ჯანმრთელობის მიზეზით, რამდენიმე ექიმი ვერ მოვიდა.

შეხვედრამ მეტად თბილ, ბუნებრივ გარემოში ჩაიარა.

ექიმებს მიესალმა და თავისი დიდი პატივისცემა დაუდასტურა მუნიციპალიტეტის მერმა, ბატონმა თენგიზ ჩიტიაშვილმა. მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა, თამაზ ლაცაბიძემ; ამავე მუზეუმში მოღვაწე პროფესორმა, მურად მთვარელიძემ; არქეოლოგიური განყოფილების გამგემ, ჯონდო ქიტიაშვილმა. ქალბატონებმა: მაყვალა ხაჩიძემ;, ლიანა ტატიშვილმა, ეკა ბაქრაძემ, ზიზი ელისაშვილმა, მათიკო ნოზაძემ, ნუნუ ტაბატაძემ, ეთერ გონგლაძემ, მარინა პანტელიდმა და სხვ.

ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი ისტორიები გაიხსენა ჩვენი რაიონის კულტურის ისტორიის ფოტო-მატიანემ, მევლუდ სალაღაიამ;

უფროსი თაობისადმი პატივისცემის გამოხატვის დიდი სურვილით შეხვედრას ესწრებოდნენ და მათი მოღვაწეობის შესახებ გულთბილად ისაუბრეს მომდევნო თაობის ქალბატონმა ექიმებმა: ლია მათიაშვილმა; თამარ ჩადუნელმა; ლალი მაკარიძემ; მარინა ცუცქირიძემ და სხვ.

თითქმის ყველა იქ მყოფს მიეცა შესაძლებლობა, სითბო და სიყვარული ეჩუქებინა ექიმებისთვის, რომლებიც მთელი ცხოვრების მანძილზე ჩვენი რაიონის მოსახლეობის ჯანმრთელობის სადარაჯოზე იღვწოდნენ.

საბიბლიოთეკო გაერთიანების სახელით, თავისი ხალხისა და ქვეყნის სამსახურში ერთგული და ხანგრძლივი მოღვაწეობისთვის, ყველა ღვაწლმოსილ ექიმს მადლობის სიგელი გადაეცა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებამ საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტთან არსებული სკოლამდელი განათლების სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წარმომადგენლებს უმასპინძლა

ხაშურის მეშვიდე საბავშვო ბაღში მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი და საბავშვო ბაღების გაერთიანების მმართველი ლელა გელაშვილი შეხვდნენ

საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს გიორგი ჩაკვეტაძეს, რომელიც სკოლამდელი განათლების სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს ხელმძღვანელობს, ასევე საბჭოს წევრებს - საქართველოს პარლამენტის წევრ გრეტა წიწავას, განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის მოწვეულ სპეციალისტ მეგი ჯაფარიძეს, UNICEF-ის მხარდაჭერით შერჩეულ ექსპერტ ნინო ალელიშვილს.

შეხვედრის ფარგლებში, საბჭოს წევრებმა ხაშურის მე-7 საბავშვო ბაღის ინფრასტრუქტურა დაათვალიერეს და საბავშვო ბაღის პერსონალთან და ბაღების გაერთიანების წარმომადგენლებთან ერთად, იმსჯელეს იმ მიღწევებსა და გამოწვევებზე, რომელსაც საბავშვო ბაღებში დასაქმებული ადამიანები ყოველდღიურ საქმიანობისას ხვდებიან.

მნიშვნელოვანია, რომ დარგის ექსპერტებისგან მოვისმინოთ ის საჭიროებები,რაცსკოლამდელ განათლ-ებაში არსებობს, - აღნიშნა სკოლამდელი განათლების სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს ხელმძღვანელმა გიორგი ჩაკვეტაძემ. მან მადლობა გადაუხადა ხაშურის საბავშვო ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელ ლელა გელაშვილს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის, როგორც ჰასპის (HACCP) სტანდარტის დანერგვის, ისე ახალი კურიკულუმი "თამაშის" მიხედვით თემატურად მოწყობილი შიდა და გარე სივრცეების გამო. განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა მშობელთა ჩართულობით მოწყობილმა გარე სივრცეებმა. წარმატებულ ნაბიჯად შეფასდა საბავშვო ბაღების გაერთიანების მიერ ყველა საბავშვო ბაღის კომპიუტერული ტექნიკით და ინტერნეტით აღჭურვა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა განაცხადა, რომ საბავშვო ბაღების მხარდაჭერა საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია და მუნიციპალიტეტი კვლავაც აქტიურად დაუჭერს მხარს საბავშვო ბაღების გაერთიანებას.

„ხაშურქალაქობის" დღესასწაულზე, ხაშურში ტურისტული ცენტრი გაიხსნა

გახსნის ცერემონიას ესწრებოდნენ შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული მიხეილ შაყულაშვილი, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ქეთევან ციმაკურიძე და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, ასევე,

დელეგაციები ხაშურთან დამეგობრებული ქალაქებიდან: ბაუსკა (ლატვია), რადვილიშკისი (ლიტვა), უკრაინა (ობუხოვო).

სტუმრებმა ცენტრს, თავიანთი მუნიციპალიტეტების სამახსოვრო ბუკლეტები გადასცეს.

ღონისძიებაზე აღინიშნა, რომ ცენტრი ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას მუნიციპალიტეტში.

- ისრაელ-პალესტინის ომის თვითმხილველი ხაშურელი ბავშვები -

საქართველოში ქართველი რომ გეტყვის წამოდი ჩემს ოჯახში, იცი რა კარგი ღვინო მაქვსო, ზუსტად ასე გეპატიჟებიან ებრაელები, წამოდი ჩემთან დარჩი, იცი რა კარგი თავშესაფარი მაქვს, იცი, რა უსაფრთხოდ იქნებიო!?

„მოკლედ.....არ მაქვს პოსტის წერის თავი, ყველამ ყველაფერი იცით, ამ წამს დავშორდით ადამიანებს, რომლებიც ორი დღის განმავლობაში გვერდიდან არ მოგვშორებიან, მადლობის თქმა ძალიან მცირეა იმის გამოსახატავად რაც მათ სითბო და მზრუნველობა გამოიჩინეს ჩვენს მიმართ.

თვითმფრინავი იგვიანებს, თუმცა.... გამოფრინდება, ვერ გპასუხობთ, ძალიან დავიღალე“, - 2023 წლის 8 ოქტომბერი. სოციალურ ქსელში გავრცელებული ამ პოსტის ავტორი ხაშურის სამუსიკო სკოლისპედაგოგიფატი სადაღაშვილია. იგი ოთხ მოსწავლესთან, მევიოლინეებთან ანი ჩოჩიასთან, ანანო ბერიძესთან, ელენე ყაულაშვილთან და მარიამ ზანიერთან ერთად, ტრადიციულად, მონაწილეობას იღებდა ისრაელში, ქალაქ ცფატში გამართულ მუსიკალურ ფესტივალში „ჩრდილოეთის ცისარტყელა“.

ვიდრე პედაგოგი ფატი სადაღაშვილი, ამ ტექსტს გამოაქვეყნებდა, თავის მოსწავლეებთან ერთად, ძალიან ემოციური, შიშითა და დაძაბულობით სავსე ორი დღე გაატარა ისრაელში მუდმივი განგაშის პირობებში და თავშესაფრებში სამშობლოში გამოფრენის მოლოდინში.

პატარა ხაშურელი მუსიკოსები პედაგოგებთან ერთად ისრაელში იმყოფებოდნენ, როდესაც ქვეყანაში ომი დაიწყო. ფატი სადაღაშვილთან ინტერვიუ, ბუნებრივია, ისრაელში გამართულ ფესტივალზე ხაშურელი საამაყო ბავშვების წარმატებებით დავიწყეთ. ხაშურის სამუსიკო სკოლის პედაგოგი ფატი სადაღაშვილი:

2 ოქტომბერს მე და ჩემი ოთხი მოსწავლე ანა ჩოჩია, ანანო ბერიძე, ელენე ყაულაშვილი და მარიამ ზანიერი, გავემგზავრეთ ისრაელში, ქალაქ ცფატში. ჩვენთან ერთად იმყოფებოდა კონცერტმაისტერი თამაზ აბრამიძეც. ხაშურის სამუსიკო სკოლა დამეგობრებული ვართ ისრაელში ყოველწლიურ ფესტივლთან „ჩრდილოეთის ცისრტყელა“ და უკვე მესამედ ვიმყოფებოდით იქ. ჩვენი ყოველი მოლნაწილეობა ფესტივალში წარმატებულია. ამჯერადაც ბავშვებმა საპრიზო ადგილები წამოიღეს, ორი პირველი და ორიც მეორე ადგილი. პირველი ადგილები დაიმსახურეს ანა ჩოჩიამ და ანანო ბერიძემ. მეორე ადგილები კი მარიამ ზანიერმა და ელენე ყაულაშვილმა. ხაშურის სამუსიკო სკოლის მოსწავლეებმა კახა ცაბაძის ოთხი სავიოლინო ნაწარმოები შეასრულეს. წამოვედით ძალიან კმაყოფილები. ფესტივალი დამთავრდა 5 ოქტომბერს. მიწვეულები ვიყავით ადგილობრივი მერიის მიერ, რომლებმაც გამოთქვეს ძალიან დიდი სურვილი სამომავლოდ ეს ფესტივალი საქართველოში, ხაშურში ჩატარდეს. ძალიან კარგი, დასამახსოვრებელი საღამო გავატარეთ ერთად. 6 ოქტომბერს დილით მოგვაკითხა მძღოლმა. აღმოჩნდა რომ იგი იყო 1972 წელს საქრთველოდან წასული გორელი ებრაელი შალვა მამისთვალოვი, რომელსაც დღესაც ახსოვს ქართული. მან შემოგვატარა ყველა სალოცავი, მოვილოცეთ ყველა წმინდა ადგილი. დაგვაბინავა იერუსალიმში სასტუმროში. 7 ოქტომბრის დილიდან დაგეგმილი გვქონდა ექსკურსია. 7 დილით გავიღვიძეთ და ომი იყო დაწყებული... გავიგეთ, რომ 6 საათსა და 25 წუთზე ერთდროულად განხორციელდა დარტყმა ისრაელზე როგორც სახმელეთო და საზღვაო, ისე საჰაერო. დილითვე, ჩვენთან კონტაქტზე გამოვიდა მძღოლი, მოგვცა მითითებები როგორ უნდა გვემოქმედა, არ უნდა გავსულიყავით გარეთ, უნდა მოგვეძებნა თავშსაფარი და, საჭიროების შემთხვევაში, ჩავსულიყავით იქ. ბუნებრივია იყო დიდი ემოცია. პირველი, რაც გავაკეთე, იყო ის, რომ მაქსიმალურად შევეცადე ბავშვებისაგან დაგვეფარა ეს ემოციები. მიუხედავად ამისა, გოგონებმა სოციალური ქსელებით გაიგეს ქვეყანაში დაწყებული საომარი მოქმედებების შესახებ, ატირდნენ, მშობლებმა და ახლობლებმა დაიწყეს დაკავშირება ტელეფონით. გვქონდა ძალიან მკაცრი გაფრთხილება, რომ აივანზეც კი არ უნდა გავსულიყავით და უნდა დავლოდებოდით მძღოლის მითითებებს. ვიყავით ძალიან რთულ მდგომარეობაში... გადავწყვიტე დავკავშირებოდი საქართველოს საელჩოს, მოვიძიე კონსულის ზურაბ სინჯარაძის საკონტაქტო ნომერი, დავურეკე და ვუთხარი რომ ვიყავი საქართველოს მოქალაქე, პედაგოგი, 4 არასრულწლოვანი ბავშვი მყავდა ფესტივალზე ჩაყვანილი, იმ წუთებში ვიმყოფებოდი მათთან ერთად ბუნკერში და ველოდი მათგან დახმარებას, მითითებებს როგორ მოვქცეულიყავი, რომ 7 ოქტობერს საღამოს დაგეგმილი ფრენისთვის მიმესწრო და აეროპორტამდე მიმეყვანა ბავშვები მშვიდობით... ერთ საათში თავად დამიკავშირდა კონსული და გვაცნობა, რომ გზები აეროპორტამდე გახსნილი იყო, შემოგვთავაზა რომ თავად მიგვიყვანდა აეროპორტამდე და შეგვეძლო დაბრუნება საქართველოში. ვარჩიე თავადვე წავსულიყავი აეროპორტამდე რომ დრო არ დაგვეკარგა. მოგვაკითხა ჩვენმა მძღოლმა და წაგვიყვანა აეროპორტში. მძღომლა შემოგვთავაზა, რომ თუ დავრჩებოდით ისრაელში, ძალიან კარგი თავშესაფარი ჰქონდა სახლში და მასთან უსაფრთხოდ ვიქნებოდით. სხვათაშორის, მინდა აღვნიშნო ერთი რამ. ჩვენთან, საქართველოში ქართველი რომ გეტყვის წამოდი ჩემს ოჯახში, იცი რა კარგი ღვინო მაქვსო, ზუსტად ასე გეპატიჟებიან ებრაელები, წამოდი ჩემთან დარჩი, იცი რა კარგი თავშესაფარი მაქვს, იცი რა უსაფრთხოდ იქნებიო?

მივედით აეროპორტში და ყველა ფრენა დაგვხვდა გადადებული. ისეთი სიტუაცია იყო, რომ ხალხი მიფრინავდა არა იქ სადაც ცხოვრობდა, არამედ იქ, სადაც თვითმფრინავი მიფრინავდა, ერთადერთი რეისი განხორციელდა მხოლოდ პარიზისაკენ.

არ ვიცოდი რა მეღონა და კიდევ ერთხელ დავუკავშირდი კონსულს, რომელიც მოვიდა ჩვენთან ძალიან სწრაფად და წაგვიყვანა სასტუმროში.

ძალიან ემოციურია ფატი სადაღაშვილის ნაამბობი. ის, რაც იქ ხდებოდა, რა განიცადეს ბავშვებმა ყოველი გამოცხადებული განგაშის დროს, როგორ გარბოდნენ თავშესაფრისაკენ და გაქცევისათვის ძალა აღარ ყოფნიდათ პატარებს, როგორ ელოდნენ განგაშის დამთავრებას თავშესაფარში, როგორ გაიარეს ეს გზა რამდენჯერმე. როგორ ცდილობდა საქართველოს კონსული ზურაბ სინჯარაძე და ელჩი ლაშა ჟვანია ბავშვების უსაფრთხოდ დაბრუნებას საქართველოში, თუმცა, იმის გამო, რომ ყველა ფრენა გაუქმდა ან გადაიდო, კონსულმა ზურაბ სინჯარაძემ ხაშურელი პედაგოგი და მისი მოსწავლეები თელავივთან ახლოს, სანაპიროსთან მდებარე ოთხვარსკვლავიან სასტუმროში გადაიყვანა, სადაც მათ, მათივე იმჟამინდელი ყოფის მოზიარე, ანსამბლ „გორდელას“ წევრები და მომღერალი გია ნიკოლაიშვილიც დახვდნენ. სასტომროში დაბინავებულები საქართველოს ელჩმა ლაშა ჟვანიამ მოინახულა და საქართველოში გამომგზავრებამდე ერთი წუთითაც არ დაუტოვებია ჩვენი ბავშვები. ფატი სადაღაშვილი იხსენებს, რომ ელჩი და კონსული მათთან ერთად სადილობდნენ, ატარებდნენ დროს. ელჩი ლაშა ჟვანია ესაუბრებოდა ბავშვებს, აძლევდა რჩევებს როგორ ენუგეშებინათ საქართველოში მყოფი შეშინებული მშობლები. ურჩევდა ბავშვებს მათთვის გაეგზავნათ ისრაელში ფესტივალზე გადაღებული ფოტოები, გაეზიარებინათ მხოლოდ კარგი შთაბეჭდილებები და ემოციები, ეთქვათ რომ მათთვის შეიძინეს საჩუქრად სუვენირები. თავშესაფარში გაქცევის დროს დაემშვიდებინათ დედები და მიეწერათ რომ ვერ უპასუხებდნენ, რადგან აბაზანაში შედიოდნენ... ელჩს ხელში აყვანილი მიყავდა გოგონები გამოცხადებული განგაშის დროს თავშესაფრისაკენ, მაქსიმალურად ზრუნავდა მათ უსაფრთხიოებაზე და კარგ განწყობაზე. ფატი სადაღაშვილი:

პირველად ვიგრძენი თავი მოქალაქედ, რომელზეც ზრუნავენ, რომლის სიცოცხლის დაცვაც პრიორიტეტია და იცავენ მის უსაფრთხოებას. არ ვიცი, რა ვალდებულება აქვთ დაკისრებული ასეთი ამ ადამიანებს, მაგრამ ვფიქრობ, თავად არიან პიროვნებები, თავად არიან პასუხისმგებლიანი ადამიანები, რომლებისთვისაც უპირველესი იყო ბავშვების უსაფრთხოება, მათი კეთილდღეობა.

მინდა აქვე ვთქვა, რომ ასეთ ფორსმაჟორულ სიტუაციაში ყოფნისას ასევე დაგვიკავშირდა ფესტივალის ხელმძღვანელი მიხაილ გაიანსკი, შემოგვთავაზა ფინანსური მხარდაჭერა, უსაფრთხო საცხოვრებელი და თავშესაფარი.

სააქართველოს კონსულმა და ელჩმა ყველაფერი იღონეს იმისათვის, რომ ფესტივალზე მყოფი ექვსივე ადამიანი საქართველოში დავებრუნებინეთ უსაფრთხოდ, მშვიდობით. თვითმფრინავის ბოლო საფეხურამდე მიაცილეს ბავშვები და დაგვაბინავეს. 9 ოქტომბერს გამთენიისას დავბრუნდით საქართველოში. თბილისის აეროპორტში დაგვხვდნენ გოგონების მშობლები...

„არ ვიცი, როგორ გამოვხატო ის მადლიერება ისრაელში საქართველოს საელჩოს მთელ გუნდს და პირადად ლაშა ჟდანიას და ზურაბ სინჯარაძეს. ეკადრება. უმრავლოს საქართველოს თქვენისთანა ქართველები, თქვენისთანა ადამიანები. ჩემი და ჩემი მოსწავლეების მშობლების სახელით მადლობას გიხდით იმ სითბოსთვის, მზრუნველობისთვის, რაც თქვენ გამოიჩინეთ, ძალიან გაგვიჭირდებოდა თქვენს გარეშე. (არ შემეძლო ეს ფოტო არ დამედო) წლის ფოტოა ალბათ. წარმატებებს გისურვებთ!“ - წერს სამშობლოში, მოსწავლეებთან, ფესტივალის გამარჯვებულებთან ერთად, უსაფრთხოდ დაბრუნებული ფატი სადაღაშვილი.

თეა ახალკაცი

ხაშურქალაქობა - 2023 - დღესასწაული, რომელიც მუდამ ჩვენთანაა

(დასასრული)

ზეიმი კი, გრძელდებოდა. განსაკუთრებით პატარების განწყობა იყო საოცარი. მათი ჟრიამული და კისკისი ისმოდა ყოველი კუთხიდან. მათი ემოციები კი უფროს თაობაზე გადადიოდა.

ჩვენ, რა თქმა უნდა, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებსაც გავესაუბრეთ, რომლებსაც მართლაც უდიდესი წვლილი

მიუძღვით, რომ „ხაშურქალაქობა“ ასეთ მაღალ დონეზე გამართულიყო.

ზაალ დუგლაძე, მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატი: - ხაშური მართლაც

ჩემი გამორჩეული სიყვარულია. ესაა ქალაქი, რომელიც ყველაზე ძვირფასია ჩემთვის. ის იმსახურებს ასეთ ზეიმს. ვულოცავ თითოეულჩვენს თანამოქალაქეს ამ დღეს...

თენგიზ ჩიტიაშვილი, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი: - მართლაც

საოცარი დღეა. როდესაც ამდენ გაღიმებულ და ბედნიერ სახეს ხედავ, თავისთავად შენც ბედნიერი ხარ. ჩვენი ქალაქი თავისი კულტურით და სხვა მიღწევებით მუდამ იყო ერთ-ერთი გამორჩეული მთელს ქვეყანაში. მიხარია, რომ ეს ტრადიცია კვლავ გრძელდება და მჯერა მომავალშიც გაგრძელდება. ამის იმედ სკი ჩვენი თანამოქალაქეების განწყობა მაძლევს, რომლებსაც ასე უყვართ ხაშური...

მიხეილ შაყულაშვილი, შიდა ქართლის რეგიონის გუბერნატორი: - მიხარია, რომ ამ დღესასწაულის თანამონაწილე ვარ. გილოცავთ ყველას! ხაშური, მთელი ქვეყნის მასშტაბით, საკვანძო ქალაქია და ჩვენი და ადგილობრივი ხელისუფლების მთელი ძალისხმევა იქითაა მიმართული, რომ მისი როლი უფრო ამაღლდეს. იმედია, ასეც იქნება...

განსაკუთრებული აღფრთოვანებული ზეიმის მასშტაბით და ამ უდიდესი დღესასწაულით ხაშურის დაძმობილებული ქალაქების დელეგაციის წარმომადგენლები იყვნენ.

უკრაინის ქალაქ ობუხოვოს მერის მოადგილე ვოლოდიმირ ცეილორა:

„ძალიან სასიამოვნოა თქვენთან სტუმრობა. მე ვიქნები გულწრფელი და გეტყვით, რომ ჩვენ, უკრაინელები და ქართველები, ძალიან ვგავართ ერთმანეთს. ჩვენ გვაქვს ერთნაირი მენტალიტეტი, ერთი მტერი გვყავს და ჩვენ ერთი საერთო სურვილი გვამოძრავებს, - თავისუფლად ვიცხოვროთ ჩვენს საკუთარ მიწაზე. და ასეც იქნება! რამეთუ სიბნელის შემდეგ ყოველთვის დგება განთიადი. გისურვებთ აყვავებას, მშვიდობას, მდიდარ ბიუჯეტს და თქვენი შრომის დაფასებას. ვიმედოვნებთ, ჩვენი ქალაქების მეგობრობა გაგრძელდება.

კიევის ახლოს მდებარე ქალაქ ობუხოვში გვაქვს ქართული დიასპორა. ისინი ჩვენი მეგობრები არიან, კარგი მმართველები, ბიზნესმენები, რესტორატორები და ჩვენ მხოლოდ გადმოცემით არ ვიცით, როგორია ქართული სული. ამიტომაც, მადლობას გიხდით თბილი დახვედრისა და მასპინძლობისთვის!“

ლატვიის ქალაქ ბაუსკას ვიცე-მერი აივარს მაჩეკსი

ბედნიერი ვართ, რომ თქვენთან ერთად ვიმყოფებით ფესტივალზე და ვუერთდებით შესანიშნავ ატმოსფეროს და აქტივობებით დატვირთულ პროგრამას.

დიდ მადლობას გიხდით სტუმართმ-ოყვარეობისთვის და გადმოგცემთ სალამს ლატვიიდან - ბაუსკას მუნიციპალიტეტიდან.

ბაუსკა და ხაშური უკვე ათ წელზე მეტია, რაც მჭიდრო მეგობრობითაა დაკავშირებული. სამომავლოდ, ვფიქრობ, ჩვენი შეხვედრები და თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდება, გამოცდილების გაზიარება გააძლიერებს ჩვ-ენს მუნიციპოალიტეტებს და გააფართოებს ერთობლივ ღონისძ-იებებს კულტურაში, განათლებაში, ეკონომიკასა და თანამშრომლობის სხვა სფეროებში.

საერთაშორისო მეგობრობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახლა, როცა ომის ცეცხლია უკრაინასა და ისრაელში - ჩვენთან ასე ახლოს. მუნიციპალიტეტებს შორის მეგობრობა ჩვენთვის ძლიერი მხარდაჭერაა ამ რთულ პერიოდში, როცა თავს არ ვგრძნობთ უსაფრთხოდ და უამრავ მოულოდნელ გამოწვევას ვუპირისპირდებით.

ევროპასა და მთელს მსოფლიოში არსებული გეოპოლიტიკური სიტუა-ციის გათვალისწინებით ძალიან კარგია, რომ გვყავს მეგობრები, ვინც მხარს უჭერს ჰუმანიტარულ და დემოკრატიულ ღირებულებებს.

ბაუსკას მუნიციპალიტეტის სახელით, გისურვებთ მშვიდობას, ჯანმრთელობას და განვითარებას.

ლიეტუვის ქალაქ რადვილიშკისის მერი ვიტაუტას კრიშკიუნასი

„ლიეტუვიდან, ქალაქ დარვილიშკისიდან ჩამოვიტანეთ ყველაზე გულწრფელი მოლოცვა თქვენი ქალაქის დღესასწაულთან დაკავშირებით. ჩვენს ქალაქებს შორის მეგობრობა უკვე 10 წელზე მეტია გრძელდება. ამ პერიოდში ჩვენ უკვე ზუსტად ვიცით, რომ ქართველები გულთბილი, ღია და მეგობრული ხალხია და გვაქვს პატივი, თავს თქვენს მეგობრად ვთვლიდეთ.

ვუსურვებთ ხაშურს აღმავლობას და განვითა-რებას, მის მოქალაქეებს კი ჯანმრთელობას, ბედნ-იერებას, გისურვებთ რომ თქვენს მშვენიერ მიწაზე არასდროს იყოს ძნელბედობა და გასაჭირი.

გილოცავთ დღესას-წაულს, ძვირფასო ხაშურე-ლებო!“

გვიან ღამემდე არ იშლებოდა ხალხი. გვიან ღამემდე გაგრძელდა ზეიმი, რომლის გვირგვინი გალა - კონცერტი იყო, სადაც ცნობილმა ფოლკლორულმა ანსამბლმა „ნართებმა“ და ჯგუფმა „გუფი-ლენდმა“ დაუვიწყარი სანახაობა აჩუქეს დღესასწაულის მონაწილეებს.

ტრადიციულად ზეიმი ულამაზესი ფოიერვერკით დასრულდა. დღესასწაულის მონაწილეებს კი თან წაჰყვათ იმედი, რომ ჩვენი ქალაქი უფრო მეტი წარმატებებით შეეგებება „ხაშურქალაქობა - 2024“-ს.

გოგი გოგოლაძე

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია და მუნიციპალიტეტის საკრებულო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ხაშურის საპატიო მოქალაქე, ფილოსოფოსი, დოცენტი, პროფესორი

კლარა ელჩიბეგაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

კლარა ელჩიბეგაშვილმა 1978 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ნიკო ნიკოლაძის ფილოსოფიურ-ესთეტიკური შეხედულებანი“. 1992 წელს მიენიჭა დოცენტის სამეცნიერო წოდება ფილოსოფიის დარგში.

1970 წლიდან მოღვაწეობდა გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოსოფიის კათედრაზე, სადაც ეკავა უფროსი მასწავლებლის, დოცენტის თანამდებობები, იყო გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე, პრორექტორი, 2004 წლიდან კი ეკავა რექტორის თანამდებობა. წლების მანძილზე იყო უნივერსიტეტის პროფესორი.

კლარა ელჩიბეგაშვილი მრავალი სამეცნიერო შრომის ავტორია.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, იაკობ გოგებაშვილის სახელობის მედლით და არაერთი საპატიო სიგელით გორის უნივერსიტეტის წინაშე დამსახურებისათვის.

2016 წელს კლარა ელჩიბეგაშვილს საპატიო ხაშურელის წოდება მიენიჭა.

***

„ხაშურის მოამბის“ რედაქცია უერთდება სამძიმარს და ღრმა მწუხარებას გამოთქვამს კლარა ელჩიბეგაშვილის გარდაცვალების გამო.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხაშურის რაიონული ორგანიზაცია, თავმჯდომარე ინეზა ელისაშვილი სამძიმარს უცხადებს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, ქალბატონ ნინო ლიპარტელიანს, დედის - ქალბატონ **კლარა ელჩიბეგაშვილის** გარდაცვალების გამო.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.